ომარ ძაგნიძე

ფუნქციურ მწკრივთა თეორიის ერთი ტერმინის შესახებ

ფუნქციურ მწკრივთა თეორიაში გაჩნდა ახალი სახის მწკრივები, რომელთა წევრები წარმოადგენენ მუდმივების ნამრავლებს სპეციალური სახის ფუნქციებზე და მათ ინგლისურად ეწოდებათ **wavelet – პატარა ტალღა** (небольшая волна) (ლექსიკონი, 1970:852).

ამასთან დაკავშირებით შესაძლებლად მიგვაჩნია თანადობა **wavelet – ტალღივა ან ტალღუნა**. ეს მსგავსად იმისა, რომ პატარა გუბეს ეძახიან გუბურას, პატარა კაცს კი კაცუნას და ა.შ.

რაიმე ფუნქციის ტალღივების მწკრივად წარმოდგენასთან დაკავშირებით შესაძლებლად მიგვაჩნია გამოთქმა **ფუნქციის ტალღივა გამწკრივება** ან **ფუნქციის ტალღუნა გამწკრივება.**

თუკი ფუნქციის ტალღივა (ტალღუნა) გამწკრივებაში საჭიროა ფურიეს მოხსენიება, მაშინ შეიძლება ვთქვათ **ფუნქციის ფურიესმიერი ტალღივა გამწკრივება** ან **ფუნქციის ფურიესმიერი ტალღუნა გამწკრივება.**

ეს უკანასკნელი მივიღეთ არჩილ ხარაძისეული **ლეჟანდრისეული გამწკრივების** მიხედვით იმ განსხვავებით, რომ ლეჟანდრისეული შეცვლილია ლეჟანდრისმიერით (შდრ.: ნება - ნებისმიერი) (ხარაძე, 1999:120).

არჩევანი **ტალღივა (ტალღუნა)** თუ **ტალღივი,** დამოკიდებულია მასთან უშუალოდ დაკავშირებულ სიტყვაზე. ზემოხსენებულ გამოთქმაში სიტყვა **ტალღივა** მოითხოვა სიტყვა „გამწკრივებამ“. ზედაპირთან დაკავშირებით შეიძლება ვიხმაროთ **ტალღივი ზედაპირი.** აქ ნასარგებლებია ჩვენთვის კარგად ცნობილი შესაბამისობა „высотный корпус“ – „მაღლივი კორპუსი“.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ უნდა ვთქვათ „შვარცისმიერი წარმოებული“ და არა „შვარცის წარმოებული“ (ეს რუსულის გავლენაა: გაწარმოება ხდება ფუნქციის და არა პიროვნების) – ინგლისურში იხმარება by და არა of.

დასასრულ, всплеск-ს კი შეიძლება მივანიჭოთ მნიშვნელობაც „აშხეფება“ ლექსიკონებიდან ცნობილ მნიშვნელობებთან „შხაპუნი“, „ჩქაფუნი“, „ჩქაფანი“, „თქაფუნი“ ერთად.

შდრ. **აბანაკება (აკარვება), დაბანაკება, დაბანაკებული** (ჩუბინაშვილი, 1961).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ ილია ჭავჭავაძის მიერ მოწოდებული კონცეფცია ტერმინთშემოქმედებისა:

1) მეცნიერული ტერმინის ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავების აუცილებლობა;
2) ტერმინის სიზუსტის დაცვა;
3) <u>შეჩვევის</u> მომენტი ახალი სიტყვის ტერმინად დამკვიდრებისას.

ლიტერატურა

ლექსიკონი, 1970 – Англо-русский словарь под редакцией В.К. Мюллера, Москва;

ჩუბინაშვილი, 1961 - ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, თბილისი

ხარაძე, 1999 - ა. ხარაძე, ორთოგონალურ პოლინომთა თეორიის ელემენტები“, თბილისი

Omar Dzagnidze

About One Term In The Theory Of Functional Line

Summary

In the theory of functional line new term wavelet has been appeared, for which we offer term „talγiva“ or „taiγuna“ saying accordingly „punkciis ṭalγiva gamcḳriveba“ or „punkciis ṭalγuna gamcḳriveba“, analogically to already existent „punkciis xarisxovani gamcḳriveba“ and „punkciis ṭrigonometriuli gamcḳriveba“. Besides that we can say „ṭalγivi zedapiri“ or „ṭalγuna zedapiri“.